სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/155

ქ. თბილისი 18 ოქტომბერი 2021 წ.

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „სოციალური კვლევების ლაბორატორიის" შექმნის და მისი დებულების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, მუხლის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ივანე ჯაგოდნიშვილის მოხსენებით ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 15 ოქტომბრის საბჭოს სხდომის №66 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 ოქტომბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისაკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციალური კვლევების ლაბორატორიის შექმნის თაობაზე წარმოდგენილი წინადადება და ლაბორატორიის დებულების პროექტი (დანართი);

2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტზე ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში.

3. ლაბორატორიის დებულების პროექტი, ცვლილებები საშტატო განრიგსა და ფაკულტეტის დებულებაში დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორ ივანე ჯაგოდნიშვილი.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**